თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-60298-24 , 01-13-65623-24
14 / 11 / 2024

შპს „ტიფლის ტექსტილი“-ს წარმომადგენელს
ეკა კემულარიას

ქალბატონო ეკა,

თქვენი მიმდინარე წლის 10 ოქტომბრის №02-13-60298-24 და 5 ნოემბრის №01-13-65623-24 წერილების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №81ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.19.22.011.012) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მიჯნაზე ფიქსირდება შპს ''თბილისი ენერჯი''-ს კუთვნილი საჰაერო **D=50 მმ-იანი** და მიწისქვეშა **D=63 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში



შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 01-13-65623-24; 02-13-60298-24
13 11 2024 წ.
[illegible]

ARCHSPA
ARCHITE
TEL.: (+
E-mail: o

პროექტის დასახელება
მრავალფუნქციური შენობა

მისამართი
ქ. თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანი
ს/კ 01.19.22.011.012

დამკვეთი
შპს "თიფლის ტექსტილი"
ს/კ 405173093

ექსპლიკაცია

პირობითი აღნიშვნები
- კედელი
- კოლონა
- საკადასტრო საზღვარი
- ნიშნული
- ღერძის ხაზი
- ჭრილის ხაზი
- 4 მ შეზღუდვის ზონა
- შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
- შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი

შენიშვნა
- ნახაზზე ზომები მოცემულია მეტრებში.
- ნახაზზე მოცემული ზომები გადამოწმდეს
- ნახაზზე საპროექტო შენობის ±0.00 ნიშნ აბსოლუტურ ნიშნულს +428.20
- მშენებლობისას ყველა ცვლილება აუცილ შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.

პროექტის ავტორი:

კომპანიის დირექტორი	ე. კემულა
არქიტექტორი	რ. გოგუა

ხაზოვანი მასშტაბი
1:500

გვერდის ზომა	A3
თარიღი	10/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0124285535**
თარიღი: **11/10/2024**

ადრესატი: შპს არქსფეის სტუდიო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404544962
მისამართი: საქართველო, თბილისი, ამაღლების ქუჩა, 37, ბინა 4, ბლოკი ა

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფში” შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი:01.19.22.011.012) საზღვრის სიახლოვეს განთავსებულია გარე განათების მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზი, აქედან გამომდინარე შ.პ.ს. “თბილსერვის ჯგუფი” წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, თუ უზრუნველყოფილი იქნება თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და დაცული იქნება დაცვის ზონები შენობა/ ნაგებობასა და ელ.სადენს შორის (დასაშვები მანძილი შენობა/ ნაგებობების, ხაზობრივ ნაგებობასთან მიმართებაში უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა), ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გარე განათების ქსელის გადაადგილება შეთანხმებული უნდა იყოს შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფთან" და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან.

მამუკა სოფაძე

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თელასი

სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

№: 1021/027/24
21/10/2024

შპს "არქსფეის სტუდიო"-ს დირექტორს
ქალბატონ ეკა კემულარიას

თქვენი მიმდინარე წლის 11 ოქტომბრის #1011/115/24 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. 81ა (ს/კ 01.19.22.011.012) მითითებულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გადის სს "თელასის" კუთვნილი კაბელები.

6-10კვ. (მიწისქვეშა): 8031-8653, 8884-8889.

0.4კვ. (საჰაერო): 8884, 8031 ს.ქ-დან აბონენტამდე.

(წარმოგიდგენთ აღნიშნული ქსელის გამომსახველ სქემატურ ნახაზს, PDF და SHP ფაილების სახით) და დაურეგისტრირებელი 0.4კვ საკაბელო ტრასები.

მითითებულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, სს „თელასის“ მხრიდან წარმომადგენლების გამოყოფისთვის, უნდა დაუკავშირდეთ სს „თელასის“ გამანაწილებელი ქსელის სამსახურის უფროსის მოადგილეს ბატონ ვლადიმერ სისაურს (ტელეფონი: 599 539813) და სს „თელასის“ კომუნიკაციების დაზიანების პრევენციის მიზნით საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოთ სს „თელასის“ ბალანსზე მყოფი ელექტროგადამცემი ხაზების გადატანის შეთანხმებული სამუშაო პროექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოების მწარმოებელი სამუშაოების შესასრულებლად არ დაიშვება.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366-ე დადგენილებით დამტკიცებული "ელექტრონული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ა"- ქვეპუნქტით, ხაზის (ბოძის) გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით. ელ. გადამცემი ხაზის (ბოძის) მფლობელის პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად, ხოლო სამუშაოების დაწყების თარიღი და დრო უნდა შეთანხმდეს სს"თელასთან".

დამატებით გაცნობებთ, რომ სამუშაოების შესრულება შეგიძლიათ განახორციელოთ ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების მქონე გარე ორგანიზაციის მეშვეობით. სს "თელასი" გამოთქვამს მზაობას, თქვენი მომართვის შემთხვევაში, გარე ორგანიზაციის მიერ შემსრულებელი პერსონალის შესაბამისი უსაფრთხოების ჯგუფის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, განახორციელოს თქვენს მიერ გადმოცემული საკაბელო ტრასების შეკეთებაში ჩაყენება და გამოყოს პერსონალი ზედამხედველობის განსახორციელებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დაშვება ქსელში ვერ მოხერხდება.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორი მამუკა ქობალია

შემსრულებელი:
ვ. სისაური
ტელ:2-77-99-99-1-7881

შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/10/16-015
16-10-2024 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,არქსფეის სტუდიო''-ს დირექტორს
ქალბატონ ეკა კემულარიას

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2024 წლის 10 ოქტომბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული ტერიტორიის (ქ. თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის ქ. #81ა, ს.კ. 01.19.22.011.012) მიმდებარედ გადის შპს „მაგთიკომი“-ს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი'-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 595 10 89 10: 599 172727

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაბი.

შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ: 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

Classification: MAGTICOM Confidential
Digitally signed by MagtiCom LLC
2024.10.16 14:09:53 +0400
მაგთიკომი MAGTICOM



შეთანხმებულია
შპს „მაგთიკომთან"
სამუშაოების დაწყების წინ
გამოიძახეთ ჩვენი
წარმომადგენელი.
პროექ. ტექ. სამსახური
2024 წელი
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N7
A. Politkovskaya St. N:7
110011
MAGTICOM

ARCHS

პროექტის დასახე

მრავალფუნქციური შენობა

მისამართი

ქ. თბილისი, გრიგოლ ლორთ
ს/კ 01.19.22.011.012

დამკვეთი

შპს "ტიფლის ტექსტილი"
ს/კ 405173093

ექსპლიკაცია

პირობითი აღნიშვნ

მიწა
კედელი
კოლონა
საკადასტრო საზღვარი
ნიშნული
ღერძის ხაზი
ჭრილის ხაზი

შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია მეტრებშ
- ნახაზზე მოცემული ზომები გადამოწმ
- ნახაზზე საპროექტო შენობის ±0.00 ნ აბსოლუტურ ნიშნულს +428.20
- მშენებლობისას ყველა ცვლილება ავ შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.

პროექტის ავტორი:

მთ. არქიტექტორი	გ. ქიტესაძ
არქიტექტორი	რ. გოგუა

ნახაზის დასახელება:

გენ.გეგმა

ხაზოვანი მასშტაბი

1:500

გვერდის ზომა	A3
თარიღი	10/2024



მაგთიკომი
MAGTICOM

შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ბიორგი ხაჭაშვილი

თარიღი: 10/11/2024

მაგთიკომის საჰაერო კომუნიკაცია

№ 6513/24-8 "01" 10 2024

შპს „არქსფეის სტუდიო“-ს დირექტორს
ქალბატონ ეკა კემულარიას
ტელ: 5577133069

ქალბატონო ეკა,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-10398 28/10/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის #81ა-ში, მიწის ნაკვეთის ს. კოდით 01.19.22.011.012. მიმდებარედ გადის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სს „სილქნეტის“ კომუნიკაციები და საპროექტო შენობა არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთში სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის“ კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

სს „სილქნეტის“ კომუნიკაციის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ირაკლი აბაშიძე



ARCHSPACE

ARCHITECTURAL COMPANY
ID: # 404544962
TEL.: (+995 32) 222 24 42
E-mail: office@archspace.ge

პროექტის დასახელება

მრავალფუნქციური შენობა

მისამართი

ქ. თბილისი, ბრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა 81 ა
ს/კ 01.19.22.011.012

დამკვეთი

[illegible]
ს/კ 405173093

ექსპლიკაცია

პირობითი აღნიშვნები

- მინა
- კედელი
- კოლონა
- საკადასტრო საზღვარი
- ნიშნული ±0.00
- ღერძის ხაზი
- ჭრილის ხაზი
- სილუეტის ხაზი

შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია მეტრებში
- ნახაზზე მოცემული ზომები გადამოწმდეს ადგილზე
- ნახაზზე საპროექტო შენობის ±0.00 ნიშნული შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს +426.20
- მშენებლობისას ყველა ცვლილება აუცილებლად შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.

პროექტის ავტორი:

მთ. არქიტექტორი	ბ. [illegible]
არქიტექტორი	რ. [illegible]

ნახაზის დასახელება:

ხაზოვანი მასშტაბი

1:500

ფურცლის ზომა	A3
თარიღი	10/2024

№ 0624-1021992 D 18.11.2024

შპს „ტიფლის ტექსტილი“
ელ-ფოსტა: Office@archspace.ge
ტელეფონი: 577 13 30 69

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN24-1019635, დათარიღებული 08/11/2024წ.) გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. #81ა-ში (ს/კ 01.19.22.011.012) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის“ წარმომადგენელს:

მესამე საოპერაციო ცენტრის მენეჯერი ლევან გაგნიძე. ტელ: 591 70 75 06.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

მ. ლოლაძე
293 11 11 (51 13)



ARCHSPACE

ARCHITECTURAL COMPANY
ID # 404544962
TEL.: (+995 32) 222 24 42
E-mail: office@archspace.ge

პროექტის დასახელება

მრავალფუნქციური ბეთონი

მისამართი

ქ. თბილისი, ბრილის ლოტოტიპების ქუჩა 81 ა
ნა 01.19.22.011.012

დაშკვეთი

შპს "ბრილის ტექსტილი"
ს/ს 405172063

ექსპლიკაცია

პირობითი აღნიშვნები

- ასფალტი
- ბეტონი
- საბეტონო საფენები
- ბორდიური
- ღობის ბაზი
- ბრილის ბაზი
- 4 მ ბეტონების ზოლი
- წყალმომარაგების ძირი
- წყალმომარაგების ს/ე
- რეზერვუარი
- სანიაღვრე
- წყალარინების ძირი
- წყალარინების ს/ე
- სანიაღვრე

შენიშვნა

- ნახაზის ნორმი მოსაზღვრე ტერიტორიის
- ნახაზის მოსაზღვრე ნორმი ტერიტორიის ცვლილება
- ნახაზის საპროექტო ნიშნული ±0.00 ნორმალური ნიშნულისაგან ტერიტორიის ნიშნული +428.20
- ტერიტორიაზე არსებული ელექტრული ინსტალაციის ნორმალური ელექტრული ქსელიდან გათიშვა

პროექტის ავტორი:

მთ. არქიტექტორი	ბ. ვიბლიანელი
არქიტექტორი	ფ. ტრიტა

ნახაზის დასახელება:

ხაზოვანი მასშტაბი

1:500

ფურცლის ზომა	A3
თარიღი	10/2024

ნორმალური ტერიტორია.pln A3 1:500 100% 11/6/2024 5:14 PM

შპს "ბრილის ქიმიური ტექსტილი"
საოპერაციო ცენტრი №1
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
"11" 11 2024
რეგ.№
სამუშაოების დაწყების წინ გამოიძახეთ
იძახას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0124292172**
თარიღი: **18/10/2024**

ადრესატი: შპს არქსფეის სტუდიო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404544962
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქუჩა, №37, ბინა №4, ბლოკი ა

ქალბატონო ეკა,
შპს ,,თბილსერვის ჯგუფში" 2024 წლის 10 ოქტომბერს შემოსული თქვენი #10/01242844037-62 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.22.011.012 და განხილული იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა. გაირკვა, რომ ზემოაღნიშნულ ტერიორიაზე ქალაქის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სანიაღვრე ქსელი არ გადის. სანიაღვრე ქსელი გაედინება გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის გზის სავალ ნაწილზე, თქვენი წითელი ხაზებიდან დაახლოებით 10 (ათი) მეტრში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სანიაღვრე დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები გენ. გეგმის შესაბამისად
დამატებით გაცნობებთ, რომ სანიაღვრე დეპარტამენტთან შესათანხმებლად პროექტი უნდა წარმოადგინოთ ხელზე, რის შემდეგ მერიის შესაბამისი სამსახური გასცემს ნებართვას პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად.

ზაზა ბერიშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-
დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ახალი ქსელები

შეთანხმებულია
შპს "ახალ ქსელებთან"
სამუშაოების დაწყების წინ
გამოიძახეთ ჩვენი წარმომადგენელი

სარეგისტრაციო № 12
ტექ. სამსახური:
თარიღი: 10.02.2025
ვის: ა.პოლიტკოვსკაიას №42 ტელ: 11 00 00

ak
Abuladze & Kemularia Solutions

ARCHITECTURAL COMPANY
ID: # 404544962
TEL.: (+995) 577 133 42
E-mail: info@aks.ge

პროექტის დასახელება

ტექსტილის ფაბრიკის ფუნქციონირებისათვის დამხმარე შენობა

მისამართი

ქ. თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა 81 ა
ს/კ 01.19.22.011.012

დამკვეთი

შპს "ტიფლის ტექსტილი"
ს/კ 405173093

ექსპლიკაცია

პირობითი აღნიშვნები

მიწა	
კედელი	
კოლონა	
საკადასტრო საზღვარი	
ნიშნული	± 0.00
ღერძის ხაზი	
ჭრილის ხაზი	
მიწისპირა სართულის კონტური	

შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია მეტრებში.
- ნახაზზე მოცემული ზომები გადაამოწმდეს ადგილზე.
- ნახაზზე საპროექტო შენობის ±0.00 ნიშნული შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს +428.20
- მშენებლობისას ყველა ცვლილება აუცილებელია შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.

პროექტის ავტორი:

მთ. არქიტექტორი	რ. მოგუა
არქიტექტორი	ლ.აბულაძე

ნახაზის დასახელება:

გენ.გეგმა

ხაზოვანი მასშტაბი

0 1 2 3 4 5 m
1:500

გვერდის ზომა	A3
თარიღი	02/2025



პირობითი ნიშნები	მისამართი	შ.პ.ს „ახალი ქსელები"
არსებული საკომუნიკაციო არხი არსებული სატელეკომუნიკაციო ჭა	ქ. თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა	ახალი ქსელები პოლიტკოვსკაიას № 42 ტელ: 11 00 00

			მუშა ნახაზი	დაკვათა	ფურცლები	გვ.
					1	1
საპრ. უფროსი		ნ. გელიაშვილი	საკომუნიკაციო ქსელის სქემა	თარიღი 10.02.25	მასშტაბი 1:1,000	
შეადგინა		ა. ლეკიშვილი				

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0182 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

ახალი ქსელები

ტექნიკური პირობა

შპს „ახალი ქსელები“ თანახმაა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდეს სამუშაოები, სამშენებლო ნორმებისა და ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით:

1. საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე ტექნიკური პირობის მიმღებმა ან/და მშენებელმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს შპს „ახალ ქსელებს“, რათა გამოყოს წარმომადგენელი (ზედამხედველი), რომელიც გადაკვეთის სამუშაოებს გაუწევს ზედამხედველობას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის ინსტრუქციებს.
2. სამუშაოების დაწყებამდე შპს „ახალი ქსელები“-ს წარმომადგენელთან ერთად უნდა დაიგეგმოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა და შეფასდეს მოსალოდნელი რისკები. მშენებლობის პროცესში, აუცილებელია შპს „ახალი ქსელები“-ს წარმომადგენლის რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოთა უსაფრთხოდ შესრულებას და ხაზოვანი ნაგებობის დაცვას, დაზიანებისგან.
3. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს „ახალი ქსელები“-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ-0.5 მეტრის სიგანის ზოლი.
4. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს „ახალი ქსელები“-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ-0.5 მეტრის სიგანის ზოლი.
5. შპს „ახალი ქსელები“-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ საპროექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ-0.15 მეტრის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.
6. შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის აღმოჩენის შემთხვევაში 2 (ორი) მეტრის რადიუსში მიწის სამუშაოები უნდა შესრულდეს მხოლოდ ხელით.
7. შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ-0.2 მეტრის დაშორებით.
8. წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს შპს „ახალი ქსელები“-სათვის ანალოგიური ნებართვის გაცემა, მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების და/ან სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.
9. საპროექტო შენობა ნაგებობის და შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ-1 მეტრის სიგრძისა.

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0182 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

10. მიწის სამუშაოების დაწყების დრო შპს „ახალ ქსელებს“ უნდა ეცნობოს წინასწარ, არანაკლებ 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე (საკ.ტელ: 11 00 00) მომავალში შესრულებული სამუშაოების შედეგად გამოწვეულ ტექნიკურ პრობლემებზე პასუხისმგებელია აღნიშნული ტექნიკური პირობის მიმღები ორგანიზაცია.
11. აღნიშნული შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით, შემდეგ კი, აუცილებელია, მოხდეს ხელახალი შეთანხმება, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

დამატებითი პირობები:

იმ შემთხვევაში, თუ შპს „ახალი ქსელები“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია დაუყონებლივ შეაჩეროს სამუშაოები და აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს შპს „ახალ ქსელებ“-ს ელექტრონული ფოსტით (info@ak.ge) ან მითითებული ტელეფონის ნომრის მეშვეობით. (საკ. ტელ: 11 00 00).

აღნიშნული ტექნიკური პირობის რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შპს „ახალი ქსელები“ იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმდინარე სამშაოების შეჩერება და შესრულებული სამუშაოების დემონტაჟი.



ნახ. 1.1



ნახ. 1.3



ნახ. 1.2



ნახ. 1.4

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0186 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

ახალი ქსელები

11.02.2025
N25-120/ა.ლ

შპს „ტიფლის ტექსტილი“-ს მინდობილ პირს
შპს „აბულაძე კემულარია სოლუშენ (აკს)“-ის
დირექტორს ქ-ნ ეკა კემულარიას
ტელ: 577 133 069
ელ. ფოსტა: eka.kemularia@aks.ge

თქვენი 28.01.2025 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №81ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.22.011.012) წითელ ხაზებთან გადის შპს „ახალი ქსელები''-ს ხაზოვანი ნაგებობა.

შპს „ახალი ქსელები'' არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით, ასევე არ დაზიანდება და არ მოექცევა რაიმე შენობა-ნაგებობის ქვეშ ჩვენს კუთვნილებაში არსებული კომუნიკაციები. აუცილებელია, აღნიშნული სამუშაოები ჩვენი ხაზოვანი ნაგებობის სიახლოვეს ჩატარდეს ხელით.

სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი.
ტელ: 11 00 00

აღნიშნული შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით, შემდეგ კი, აუცილებელია, მოხდეს ხელახალი შეთანხმება, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

დანართი: 1) სიტუაციური ნახაზი;
2) ტექნიკური პირობა;
3) შეთანხმებული გეგმა.

პატივისცემით,
პროექტირების სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გელიაშვილი